ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა

გაერთიანებული კომისიის სხდომის ოქმი №3

21 დეკემბერი 2021 წელი

11:00 საათი

ა/წ 21 დეკემბერს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ოთხი კომისიის - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის, ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა და ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიების გაერთიანებული სხდომა გაიმართა. სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. ზურაბ ჩიკვილაძე (კომისიის თავმჯდომარე);
2. ირაკლი ხელაძე;
3. ლევან აბაშიძე;
4. ანა კაკაბაძე;
5. ნათია მოდებაძე;
6. სოფიო ჯაფარიძე;
7. ლილე ლიპარტელიანი;
8. მამუკა გუგეშაშვილი.

მოწვეული პირები:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფორის გაიოზ თალაკვაძე

სხდომის დღის წესრიგი:

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N71-134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

გაერთიანებული კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანი. სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა გაერთიანებული კომისიის სხდომის დღის წესრიგი. კომისიების მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

მომხსენებელმა გაიოზ თალაკავაძემ დეტალურად ისაუბრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შესახებ, კერძოდ: ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს ფაქტიურად მიღებული შემოსულობების გათვალისწინებით, რომლის თანახმად იზრდება არაფინანსური აქტივების კლებიდან (ძირითადი აქტივების გაყიდვიდან) მისაღები შემოსავლები - 3 476,9 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო მცირდება ქონების გადასახდიდან მისაღები შემოსავლები - 3 253,9 ათასი ლარით და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მისაღები გრანტები - 220,0 ათასი ლარით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა არ იცვლება და შეადგენს 1 270 531,8 ათას ლარს.

ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, რაიონის გამგეობების და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები.

იზრდება: გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლი (კოდი 06 01 03) ქვეპროგრამის ასიგნება - 29,0 ათასი ლარი, დაავადებათა სკრინინგი (კოდი 06 01 02) – 115,0 ათასი ლარი, ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 06 01 07) – 390,0 ათასი ლარი, ტრანსპლანტაცია (კოდი 06 01 13) – 750,0 ათასი ლარი, კომუნალური სუბსიდირება (კოდი 06 02 01) – 145,0 ათასი ლარი.

მცირდება: გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 06 01 05) – 72,0 ათასი ლარი, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია (კოდი 06 01 06) – 18,0 ათასი ლარი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურება (კოდი 06 02 04) – 200,0 ათასი ლარი, უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში (კოდი 06 02 06 01) – 90,0 ათასი ლარი, სერვის ცენტრებში ბარათების დამზადება (ინიციალიზაცია) (კოდი 06 02 06 04) – 10,0 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 18 10) – 50,0 ათასი ლარი, წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება გლდანის რაიონში (კოდი 06 02 20 01) – 4,0 ათასი ლარი, სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება (კოდი 06 02 25) – 15,0 ათასი ლარი, შინმოვლის თანადაფინანსება (კოდი 06 02 26) – 40,0 ათასი ლარით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა (კოდი 06 02 28) – 90,0 ათასი ლარი.

წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 1 270 531,8 ათასი ლარით, მათ შორის:

ხარჯები განსაზღვრულია - 1 005 454,9 ათასი ლარი;

არაფინანსური აქტივების ზრდა – 250 198,7 ათასი ლარი;

ვალდებულებების კლება – 14 878,2 ათასი ლარი.

აზრი გამოთქვეს:

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრმა ლილე ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ სრულად ვერ გაეცნო სხდომაზე განსახილველ საკითხებს და თანდართულ მასალებს, ვინაიდან დაგვიანდა მასალების წარმოდგენა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში. ასევე იკითხა, რამ გამოიწვია სარეზერვო ფონდში თანხის გადატანა, რაზეც მომხსენებლის, გაიოზ თალაკვაძის მიერ განემარტა, რომ ვინაიდან სარეზერვო ფონდი ამოწურული იყო და ამასთან ერთად გაჩნდა გაუთვალისწინებელი ხარჯები ფოსმაჟორული სიტუაციებიდან გამომდინარე (მათ შორის ხანძარი მთაწმინდის რაიონში და ისანში) აუცილებელი გახდა თანხის გადატანა სარეზერვო ფონდში.

საკრებულოს წევრმა გოგა ონიანმა დასვა კითხვა, უფასო სასადილოს ქვეპროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ერთი პირის კვების ღირებულება 1,70 ლარი რამდენად არის საკმარისი სრულყოფილი მენიუს შესადგენად და თუ იგეგმება ამ მიმართულებით თანხის გაზრდა მომავალში.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომიისის თავმჯდომარის ზურაბ ჩიკვილაძის ინფორმაციით აღნიშნულ საკითხზე კომისიამ იმსჯელა გასულ კომისიის შეხვედრაზე ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსს გელა ჩივიაშვილთან ერთად. მისი ინფორმაციით თბილისში უფასო სასადილოთი მოსარგებლეების რაოდენობა დაახლოებით 40 000 პირს შეადგენს და ყოველწლიურად ხდება აღნიშნული ქვეპროგრამის ბიუჯეტის ზრდა. ყველაზე დიდი მატება განხორციელდება 2022 წლის 01 იანვრიდან, 6 მილიონი ლარით და ნაცვლად 20 მილიონისა წარმოდგენლი იქნება 26 მილიონით. კვების კალორაჟი და მენიუს კვებითი ღირებულებაც მნიშვნელოვნად არის გაზრდილი. ამასთან, კომისია მზად არის განიხილოს ყველა ინიციატივა და პროექტი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიურ ფორმატში.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრის მამუკა გუგეშაშვილის აზრით უფასო სასადილოების ქვეპროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხა არ არის საკმარისი მიმწოდებლის მიერ კომუნალური და სხვა ხარჯების დასაფარად, ასევე მისი აზრით მზა პროდუქტის მიწოდებაზე გადასვლა უფრო ეფექტური და მიზანშეწონილი იქნება.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი ლილე ლიპარტელიანი დაინტერესდა რატომ მცირდება ჩუღურეთის რაიონში ერთჯერადი სოციალური დახმარების მუხლი 9 ათასი ლარით.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თქმით ჩუღურეთის რაიონში მწვავედ დგას არამარტო სოციალური დახმარების საკითხი, არამედ საცხოვრებელი სახლების გამაგრების და რეაბილიტაციის საკითხებიც. ზემოთხსენებული ცვლილება სწორედ განპირობებულია რაიონის საჭიროებების პრიორიტეტებიდან გამომდინარე, ამასთან ზემოთხსენებული ქვეპროგრამა არის მიზნობრივი ფინანსური დახმარება და თანხობრივი ცვლილებაც ძალიან მცირეა, კერძოდ 309 000 ლარის ნაცვლად შეადგენს 300 000 ლარს.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N71-134 დადგენილებაში

ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს კომისიის წევრების უმრავლესობამ დაუჭირა მხარი.

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 2

<u>კომისიამ დაადგინა</u>

წარმოდგენილი პროექტი განხილული იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის უმრავლესობის დადებითი რეკომენდაციით.

კომისიის სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩიკვილაძე